

იძულებითი განმარტება

(სემინარიის საქმეთა გამო)

იმ ადამიანებამდე, რომელთაც ზაფხულის მწვავე სიცხისგან თავი შეუფარებიათ არა მჩქეფარე სააგარაკო ადგილებისა, არამედ მიყრუებულ კუთხეებისათვის, ქვეყნის მღელვარება და ბეჭდვითი სიტყვის ახალი ამბები ან სრულიად არ აღწევს, ან თუ ხანდახან აღწევს, ისიც დიდი დაგვიანებით. და აი მეც მოვხდი რა ამ ზაფხულზე თრიალეთის ერთ-ერთ მიყრუებულ ხეობაში, მხოლოდ ამ დღეებში გავიგე იმ პოლემიკის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში გაიმართა გაზეთის ფურცლებზე თბილისის სემინარიის მასწავლებელ ბ-ნ ბოგოიავლენსკისა და გაზეთის რედაქციას შორის. პოლემიკა გამოუწვევია თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობის დადგენილებას, რომლის თანახმად სწავლის გასაგრძელებლად მიმდინარე წელს სასულიერო აკადემიაში არ გაიგზავნება თბილისის სასულიერო სემინარიის არცერთი კურსდამთავრებული, ვითომც მათი სუსტი განვითარებისა და არადაამაკმაყოფილებელი მომზადების გამო.

ბ-ნი ბოგოიავლენსკი აღიარებს, რომ ეს ფაქტი არავითარ შემთხვევაში კარგი მხრივ არ ახასიათებს სემინარიის ახლანდელ კორპორაციას, მაგრამ ის მაინც შეეცადა მოეძებნა ამ ფაქტისათვის ერთგვარი გამართლება სემინარიის განვლილ ცხოვრებაში, მაგრამ ამის მსგავსი ერთი მაგალითის აღმოჩენაც ვერ შეძლო მან სემინარიის ხანგრძლივ წარსულში, ვინაიდან ასეთ მაგალითს სემინარიის არსებობის სამოცი წლის მანძილზე სულაც არ ჰქონია ადგილი. მან მიმართა სხვა მანევრს და დასვა ასეთი საკითხი: გასულ წლებში თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულებთან, რომლებიც გაგზავნილ იქნენ სასულიერო აკადემიაში, ყველა კარგად სწავლობდა და წარმატებით ამთავრებდა უმაღლეს სასულიერო სასწავლებელს, თუ არა, და იქვე იძლევა პასუხს: არა, ვინაიდან მათ შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებიც დაბრუნდნენ მხოლოდ ნამდვილი სტუდენტის ან აკადემიის უბრალო სტუდენტის წოდებით. მაშასადამე, დაასკვნის ბ-ნი ბოგოიავლენსკი, სემინარიის მოსწავლეთა ახლანდელი სუსტი მომზადება არ არის უმაგალითო მოვლენა ამ სასწავლებლის ცხოვრებაში, რამედ ამას წინა წლებშიც ჰქონდა ადგილი. „ობზორი“, უარყოფს რა ამას, სხვათა შორის აღნიშნავს, რომ აკადემიის სტუდენტის წოდებით დაბრუნდა მხოლოდ გოგებაშვილი, მაგრამ იმის მაგივრად, რომ დაემტკიცებია, რომ ბოგოიავლენსკის მიერ მითითებული მაგალითი სწორედ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოვლენას ადასტურებს, დაკმაყოფილდა ლიტონი, არავისათვის დამაჯერებელი ფრაზით, რომ სწავლა აკადემიაში მე შევწყვიტე ავადმყოფობის გამო; ვითომ არ შეიძლებოდა, რომ ავადმყოფობას თავი ეჩინა, ერთის მხრივ, მომზადებისა და სულიერი ძალების, ხოლო, მეორე მხრივ, აკადემიურ მეცადინეობას შორის შეუსაბამობის გამო. „ობზორის“ ამ სრულ სიჩუმეს იმის შესახებ, თუ რამდენად წარმატებით ვსწავლობდი მე სასულიერო აკადემიაში, და მისი გამოთქმა: საკითხი იმას კი არ ეხება, თუ როგორი წარმატებით მეცადინეობდნენ და ამთავრებდნენ უმაღლეს სასწავლებლის კურსს თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულნიო, - შეეძლო მიეცა საბაზი მკითხველებისა და სემინარიის ახლანდელი გამგეობისათვის, რომ ბ-ნი ბოგოიავლენსკის მტკიცება ამ შემთხვევაში სამართლიანად მიეჩნიათ. საკითხი რომ ჩემს სასკოლო წარმატებას ეხებოდეს, საზოგადოებრივი

ინტერესებისაგან დამოუკიდებლად, მე ზედმეტად ჩავთლიდი აღმედგინა ჩემს შესახებ ჭეშმარიტება პრესის საშუალებით, მით უფრო, რომ სასკოლო მოუსწრებლობა ყოველთვის არ ამტკიცებს პიროვნების გონებრივ სისუსტეს. მაგრამ, როცა შენი ცხოვრებიდან აღებული დამახინჯებული მაგალითით სურთ გაამართლონ ახალგაზრდა ადამიანებისათვის უმაღლესი სასწავლებლის კარების დახურვა და ამგვარად საზოგადოებრივი ბოროტებისათვის პასუხისმგებლობის ნაწილი სურთ ერთგვარად თავს მოგახვიონ, მაშინ სიჩუმე და სიცრუის არგამოაშკარავება იქნება უსამართლობა საკუთარი თავის მიმართ და დანაშაული საზოგადოების წინაშე. აი რატომ გადავწყვიტე ჩემი სურვილის წინააღმდეგ, პრესის საშუალებით ვილაპარაკო ჩემი აკადემიური წარმატების შესახებ, ხოლო შემდეგ შევეხო აღმრული საკითხის სხვა მხარეებსაც, რასაც აქვს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

1861 წლის ზაფხულზე თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ გამაგზავნა კიევის სასულიერო აკადემიაში. მაშინ ეს აკადემია სახელგანთქმული იყო სასულიერო აკადემიათა შორის იმ დროინდელი იმ კარგი რექტორის და ნიჭიერი პროფესორების წყალობით, რომელნიც განაგებდნენ მნიშვნელოვან კათედრებს ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში. ამიტომ მეტად დიდი იყო მისაღებ გამოცდებზე სტუდენტთა მოზღვავება; სტუდენტთა რიცხვი სამჯერ აღემატებოდა ვაკანტური ადგილების რიცხვს. აკადემიის კონფერენციას (მაშინ ასე ეწოდებოდა მის საბჭოს) სურდა საუკეთესონი შეერჩია მრავალრიცხოვანი კონკურენტებიდან და ამიტომ აწარმოებდა მკაცრ გამოცდებს სემინარიის ყველა საკურსო საგანში. გამოცდების დამთავრების შემდეგ შედგენილ იქნა გამოცდების ჩამბარებელი სტუდენტების სია, ყველა მიღებული ბალის შეჯამების სისტემის მიხედვით. მე არ მქონდა ნიშანი ორ ძველ ენაში, რომლებიც მაშინ თბილისის სასულიერო სემინარიაში სრულიად არ ისწავლებოდა, რის გამო მათ არ თვლიდნენ სავალდებულოდ სასულიერო აკადემიებში ამ სემინარიის კურსდამთავრებულთათვის: მიუხედავად ამისა, მაინც გავედი მეექვსე სტუდენტად; ეს აიხსნება მით, რომ მივიღე უმაღლესი ნიშნები როგორც ზეპირი, ისე საექსპრომტო წერებში. კურსი ერთი რჩეულთაგანი გამოვიდა და შემდგომში მარტო კიევის აკადემიას მისცა მან ოთხი პროფესორი. არ იყო ადვილი ასეთ ნიჭიერ ამხანაგებთან მეტოქეობა, მაგრამ ჩემი მეცადინეობა მაინც ისეთი წარმატებით მიმდინარეობდა, რომ პირველი წლის ბოლო უკვე მეორე სტუდენტი ვიყავი და აკადემიაში გამოთქვამდნენ აზრს, რომ კურსის დამთავრების შემდეგ ქართველი დარჩება აკადემიაში ბაკკალავრადო. მაგრამ, საუბედუროდ 1863 წლის მკაცრ ზამთარში მე და ჩემი თანამემამულე, უფროსი კურსის სტუდენტი ივანე ფურცელაძე, ავად გავხდით ფილტვების ანთებით. მას ანთება გადაეცა სწრაფ ჭლექად, რამაც ის საფლავეში ჩაიტანა მაშინ, როცა ერთი თვე აკლდა კურსის დამთავრებას; ჩემში კი გამოიწვია სასუნთქ ორგანოთა ქრონიკული დაავადება. ჩემი თანამემამულის, რომელიც მანამდე სრულიად ჯანმრთელი იყო, ჭლექათ მოულოდნელად დაღუპვამ და ანთების შემდეგ დარჩენილმა მწვავე შედეგებმა, საერთოდ ჩემმა სუსტმა ჯანმრთელობამ აიძულეს აკადემიის ექიმე კატეგორიულად ერჩია ჩემთვის სამშობლოში დაბრუნება. რა ძნელიც არ უნდა ყოფილიყო ჩემთვის მომავლის ახალგაზრდულ იმედებსა და ილუზიებზე ხელის ჩაქნევა, მე მაინც უნდა დამეჯერებინა კეთილი რჩევა და შემეწყვიტა სწავლა აკადემიაში. 1863 წლის ზაფხულში ჩავაბარე საბოლოო გამოცდები ყველა ზოგადსაგანმანათლებლო საგანში. მაშინ აკადემიები შედგებოდა ორი კლასისაგან,

თითოეულში ორწლიანი კურსით; პირველ კლასში მთავრებოდა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო საგანი, ხოლო მეორეში ისწავლებოდა საღვთისმეტყველო მეცნიერება, და მივიღე მოწმობა უმაღლესი ატესტაციით. მე სურვილი განვაცხადე დამეკავებია ინსპექტორის ვაკანტური ადგილი ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებელში; ეს სასწავლებელი არსებობდა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ხარჯზე, რის გამო იმყოფებოდა პრივილეგიურ მდგომარეობაში: მოსამსახურენი ღებულობდნენ ორჯერ მეტ ხელფასს, ხოლო ინსპექტორი უფრო მეტს, ვიდრე ზედამხედველი სხვა სასულიერო სასწავლებელში. ეს გარემოება იყო მიზეზი იმისა, რომ რამდენიმე სამეცნიერო ხარისხის მქონე აკადემიის კურსდამთავრებული სტუდენტი შეეცადა მიეღო ინსპექტორის ვაკანტური ადგილი, რომელიც წინათაც აკადემიის კანდიდატებს ეკავათ. მაგრამ აკადემიის კონფერენციამ, რომლის წევრად ითვლებოდა ყველა მისი პროფესორი, მე მომცა უპირატესობა და დამნიშნა ვლადიკავკავში ინსპექტორის ადგილზე. აკადემიის რექტორმა საგანგებო წერილით აცნობა ჩემი ინსპექტორად დანიშვნა მაშინდელ საქართველოს ეგზარქოსს, აღნიშნა ჩემი აკადემიური წარმატება და მთელი აკადემიის სახელით სინანული გამოთქვა, რომ ავადმყოფობამ საშუალება არ მომცა დამემთავრებია კურსი, და თან დასძინა: „აკადემია იმედოვნებს, რომ მიუხედავად კურსის დაუმთავრებლობისა, ის საზოგადოების ერთ-ერთი სასარგებლო წევრი იქნება“. ეს წერილი, რომელიც სავსებით ადასტურებს იმის სიმართლეს, რაც მე ვთქვი ჩემი აკადემიური წარმატებათა შესახებ, ინახება 1863 წლის სემინარიის გამგეობის საქმეებში.

ვიმეორებ, ჩემთვის მეტად არასასიამოვნოა ლაპარაკი ამ დიდიხნისა და საჩოთირო საქმეებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, გაჩუმებაც არ შეიძლება მაშინ, როცა სურთ ამ მაგალითით დაამტკიცონ სემინარიის წინანდელი კურსების სუსტი მომზადება და ცდილობენ ამაში ჰპოვონ ერთგვარი გამართლება, როგორც მოსწავლეთა ახლანდელი გამოშვების სუსტი წარმატებისა, ისე სემინარიის გამგეობის დადგენილებისა, რომლის თანახმად არც ერთი მათგანი არ უნდა გაიგზავნოს აკადემიაში უმაღლესი განათლების მისაღებად.

იყო მეორე, უფრო ადრინდელი მაგალითიც თბილისის სემინარიის კურსდამთავრებულის აკადემიის სტუდენტად დაბურუნებისა, მაგრამ ეს კიდევ მეტად ააშკარავებს ბ-ნ ბოგოიავლენსკის საბაბის უსუსურობას. მე ვლავარაკობ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ყოფილ ზედამხედველ, განსვენებულ გერასიმე კალანდარიშვილზე. სემინარიიდან ის ისე საფუძვლიანად განვითარებული და ისე ღრმად მომზადებული გამოვიდა, რომლის მსგავსს იშვიათად შეხვდებით საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შორის. ჩემზე ორი წლით ადრე შევიდა ის სასულიერო აკადემიაში, სადაც ორი წლის განმავლობაში იმდენი ცოდნა შეიძინა, რამდენსაც სხვა ექვსი წლის განმავლობაში ვერ შეიძენდა. ხოლო ვადაზე ადრე მიატოვა აკადემია ნაწილობრივ ჯანმრთელობის სისუსტის გამო. ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ აკადემიის საღვთისმეტყველო განყოფილება მას ვერაფერს ახალს ვერ შესძენდა, გარდა დიპლომით შემკობისა, რომელსაც მის თვალში, როგორც სერიოზული კაცის თვალში, არ შეიძლებოდა დიდი ფასი ჰქონოდა, როგორც არა არსებითს რამეს. თუ რა დიდი აზრისა იყო აკადემიის კონფერენცია კალანდარიშვილზე, ჩანს იქედან, რომ ის მან პირდაპირ დანიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და უარი უთხრა ამ ადგილის მიღების მსურველს,

სამეცნიერო ხარისხის მქონდე კონკურენტს. აკადემია ამაში არც შემცდარა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კალანდარიშვილის ცამეტი წლის მუშაობა წარმოადგენს საუკეთესო ეპოქას ამ სასწავლებლის ცხოვრებაში, რის გამო მან დაიმსახურა მთელი ქუთაისის საზოგადოების პატივისცემა და უპატიოსნესი, შრომის ფრიად მოყვარული და უაღრესად საზოგადო მოღვაწის რეპუტაცია.

ამგვარად, ის, რაც ბ-ნი ბოგოიავლენსკის ახლანდელი სემინარიის გასასამართლებლად მოჰყავს, არსებითად მისი ზრახვების მჭევრმეტყველურ მხილებას წარმოადგენს.

უსაფუძვლოა აგრეთვე ბოგოიავლენსკის მითითება თბილისის სემინარიის იმ მოსწავლეებზე, რომლებმაც დაამთავრეს აკადემიის კურსი ნამდვილი სტუდენტის წოდებით. ასეთები, როგორც სრულიად სამართლიანად შენიშნავს „ობზორი“, მხოლოდ ორი იყო ბ-ნი მაჭავარიანი და ბ-ნი გურგენიძე. მაგრამ ორივე ისინი, თუმცა არ ეკუთვნოდნენ თავიანთი კურსების საუკეთესო სტუდენტთა რიცხვს, მაინც წარმატებით სწავლობდნენ აკადემიაში და ჩააბარეს საკანდიდატო გამოცდა; მათ დღემდე ვერ მიიღეს სამეცნიერო ხარისხი, ვინაიდან საკურსო შრომებისათვის აიღეს ძნელი და ვრცელი თემები, რომელთა დამთავრება აკადემიაში ვერ მოასწრეს, ხოლო შემდეგ სამსახურმა შეუშალათ ხელი და თავის დროზე ვერ წარადგინეს შრომები სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მაგრამ თბილისის სასულიერო სემინარიის ორივე ამ მოსწავლეს, რომ მართლაც სუსტად ესწავლა აკადემიაში, ესეც არ იქნებოდა საბუთი მათი კურსების არადაამაკმაყოფილებელი მომზადების დასამტკიცებლად; ბ-ნი მაჭავარიანს ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეჭირა თავისი კურსის მრავალრიცხოვან პირველი კატეგორიის მოსწავლეთა შორის და ის ყველასთვის და თავისთვისაც მოულოდნელად მოხვდა სასულიერო აკადემიაში. იმის შედეგად, რომ ზოგი მისი საუკეთესო ამხანაგი პეტრიაშვილი, ინაშვილი, ცაგარელი და სხვები შევიდნენ უნივერსიტეტში, სადაც ბრწყინვალედ სწავლობდნენ, ხოლო ჯანაშვილმა, რომანოვამ, ელიაშვილმა, არდაზიანმა და სხვებმა არ მოისურვეს სხვადასხვა მიზეზების გამო სწავლის გაგრძელება და შევიდნენ სამსახურში. გურგენიძის კურსიდან სამმა სტუდენტმა (ცხვედაძემ, იოსელიანმა, დათოშვილმა), რომლებიც თავიანთი ხარჯითა და სურვილით შევიდნენ აკადემიაში, ძლიერ წარმატებით დაამთავრეს აკადემიის კურსი და მიიღეს სამეცნიერო ხარისხი.

ერთი სიტყვით, ბ-ნი ბოგოიავლენსკი და მისი თანამომსახურენი რომ კარგად გასცნობოდნენ თბილისის წარსულს, იმ დასკვნამდე მივიდოდნენ, რომ სემინარიის არსებობის სამოცი წლის მანძილზე არ ჰქონია ადგილი სემინარიის მოსწავლეთა ახლანდელი არადაამაკმაყოფილებელი მომზადების მსგავს მაგალითს; პირიქით, წინანდელ და ახლანდელ მოსწავლეთა შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ ბევრი წინანდელთაგანი თავისუფლად გამოდგებოდა ახლანდელი მოსწავლეების მასწავლებლად.

რით აიხსნება მოსწავლეთა გონებრივი დონის ასეთი მდგომარეობა ერთადერთ სასწავლებელში, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მთელი ამიერკავკასიის მხარის მართლმადიდებელი მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებანი? როგორ ხდება, რომ გადახალისებული სასწავლებელი, რომელიც სარგებლობს არჩევნების უფლებით, ხელმძღვანელობს საუკეთესო წესდებით და კეთილმოწყობილია, იძლევა ცუდ ნაყოფს, უფრო ცუდ შედეგებს, ვიდრე ის იძლეოდა წინათ, მის გარდაქმნამდე, როცა საარჩევნო

უფლების ხსენბაც კი არ იყო, როცა ბნელ დროს შედგენილი სემინარიის ძველი წესდება გასაქანს აძლევდა თვითნებობას და როცა სასწავლებლის პედაგოგიური გარემო სრულიადაც არ იყო ჩვენში ცნობილი? რატომ ხდება რომ ექვსკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ყოველწლიურად დიდ თანხებს ნთქავს, უშვებს იმდენად სუსტ კურსს, რომ არც ერთი კურსდამთავრებული არ იცვნეს ვარგისად უმაღლეს სასწავლებელში, როცა მას სამი ორწლიანი კლასი ჰქონდა და მცირეოდენი თანხით არსებობდა, უშვებდა ბრწყინვალე კურსებს, რომლებმაც მოგვცეს უნივერსიტეტის პროფესორები (ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი, ახლა ქიმიის დოქტორი ბ-ნი პეტრიაშვილი და პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი ცაგარელი)?

ჩანს, თვითონ ადგილობრივ სასულიერო მთავრობას განზრახვა აქვს სემინარიის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მიაწეროს მისი კურსის შემადგენლობაში ძველი ენების შეტანას. თუმცა ეს ენები მართლაც მძიმე ტვირთად აწევს სემინარიას და მათი გაუქმება უდიდესი სიკეთე იქნებოდა სასწავლებლისთვის, მაინც ეს არ არის მთავარი მიზეზი. ეს ენები ამ სემინარიაში 1854 წლამდეც ისწავლებოდა, მაგრამ იმ დროს ამას არ შეუშლია ხელი გამოეშვათ ისეთი კურსები, რომლებმაც მოგვცეს სასულიერო აკადემიათა მაგისტრების დიდი რიცხვი (ქიქოძე, ფურცელაძე, ხელიძე) და შესანიშნავი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი (ბაქრაძე, პ. იოსელიანი, ბერძენიშვილი). ბოროტების ფესვი სხვაში მარხია, სახელდობრ, იმ რეპრესიულ ზომებში, რომლებიც უჩვეულო გულმოდგენიობით შემოიღეს თბილისის სემინარიაში შვიდი წლის წინათ ბ-ნ კერსკისა და კუვშინსკის წყალობით და რომლებიც მიზნად ისახავენ თითქმის მთლიანად შეავიწროონ, განდევნონ სემინარიიდან ადგილობრივი, ქართული ელემენტები. ვიდრე ამ ელემენტებს ამ სასწავლებელში სათანადო ადგილი ეჭირათ, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, სასწავლებელი უშვებდა მრავალრიცხოვან და კარგად მომზადებულ კურსებს. მაგრამ, როცა ეს ელემენტი უეცრად უუფლებო აღმოჩნდა და განიდევნა სემინარიიდან საშინელი გაუგებრობის გამო, პირველივე კურსი, რომელიც შეუდარებლად უკეთეს პირობებში იზრდებოდა, არა თანასწორუფლებიანობის სისტემის ბატონობის გამო, აღმოჩნდა სუსტი თვით სემინარიის კორპორაციის აღიარებით. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ადგილობრივ ელემენტებს სამსახურეობრივ სფეროში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით კი სასწავლო საგანმანათლებლო დასწესებულებებში. მას შეაქვს მხურვალე თავდადება საქმეში, ვინაიდან ხელმძღვანელობს ორი მოსაზრებით: სამსახურის მოვალეობის შეგნებითა და სამშობლოსადმი სიყვარულით.

რაკი ახლოს იცნობს თავის მოსწავლეთა ბუნებას, მათს თავისებურებას, რაკი გრძნობს მათს სისუსტეს და ნაკლოვანებას, ამ ელემენტს სრული შესაძლებლობა აქვს იაროს არა ხელის ცეცებით ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ძნელ საქმეში, არამედ გამონახოს უფრო სწორი და მიზანშეწონილი საშუალებანი საგანმანათლებლო დაწესებულების ამოცანათა განსახორციელებლად.

ადგილობრივი ელემენტის საშუალებით მოსამსახურე პერსონალის ერთი ნაწილი არამკვიდრთაგან ორგანულ კავშირს დაამყარებს იმ წრესთან, იმ ხალხთან და საზოგადოებასთან, რომლისთვისაც ამზადებს მოღვაწეებს და თავს დააღწევს იმ

კარჩაკეტილ, იზოლირებულ მდგომარეობას, რომელსაც მივყევართ უსულგულო ჩინოვნიკობამდე, რაც ყველაზე მავნებელია სასწავლო დარგში. ეს კარგად შეუგნია უწმინდეს სინოდს, რომლის დადგენილებათა კრებულში არის მუხლი, რომელიც მოითხოვს, რომ სასულიერო სასწავლებლებში თანამდებობათა გადანაწილებისას უპირატესობა მიეცეს ადგილობრივ მკვიდრთ.

თანასწორუფლებიანობის დარღვევა, განსაკუთრებით ისეთი მკაცრი და თვალშიმცემი, როგორც ამ შვიდი წლის წინათ დამყარდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, ყოველთვის დემამორალიზებელ გავლენას ახდენს როგორც იმათზე, რომელთა საზიანოდაც ტარდება ის, აგრეთვე იმათზე, რომელთა სასარგებლოდაც არის ეს განზრახული. უსამართლობის შეგნება იპყრობს ერთსა და მეორე მხარის გონებას, ჩნდება ყველგან და წამლავს სასწავლებლის მთელ ატმოსფეროს და იწვევს უკმაყოფილებას თვით საზოგადოებაშიაც. ასეთ წრეში სწრაფად იწყებს განვითარებას უნდობლობა, ეჭვიანობა, წვრილმანობა, ტომობრივი განსაკუთრებულობა, ახშობს უმაღლეს და უკეთილშობილეს გრძნობებს და იწვევს გათიშვას იქ, სადაც უნდა მეფობდეს მჭიდრო და ნაყოფიერი სოლიდარობა. თანასწორუფლებიანობის პრინციპი, პირიქით, განამტკიცებს ჰუმანურ დამოკიდებულებას სხვა-და-სხვა ტომის ელემენტებს შორის, ბადებს ურთიერთ ნდობასა და სიყვარულს, ამყარებს ადგილობრივ და არაადგილობრივ ელემენტებს შორის ნაყოფიერ ურთიერთზეგავლენას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევისათვის ერთსულოვან ბრძოლას...

დაუბრუნდით თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელიც ორმოცდაათ წელიწადზე მეტ-ხანს არსებობდა თბილისის სემინარიაში, წინანდებურად სათანადო ადგილი დაუთმეთ ქართულ ელემენტს, ქართულ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას, დაამყარეთ გულწრფელი, სამართლიანი დამოკიდებულება ერთი და იმავე სახელმწიფოს, ერთი და იმავე ეკლესიის წევრთა შორის და მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ სემინარიის მიერ გამოშვებული კურსები იქნება მრავალრიცხოვანი და მომზადების მხრივ მომწიფებული. ამის გაკეთება მით უფრო ადვილი და მით უფრო საჭიროა, რომ არათანასწორუფლებიანობის წყალწალღებული სისტემის თვითონ ავტორმა დანიშნა ექვსი წლის ვადა, რის შემდეგ ნორმალურ წესრიგს უნდა დაუბრუნდნენ. ამ ვადამ უკვე განვლო და ნათლად დაადასტურა, რომ ვიწრო რასობრივი განსაკუთრებულობით და ვიწრო კანცელარიზმით ნაკარნახევმა რეპრესიულმა ზომებმა შეიძლება მხოლოდ მავნე შედეგი მოგვცეს... ბ-ნ კერსკის მიერ შემუშავებული ზომები, რომლებსაც შვიდი წლის განმავლობაში თავდადებით იცავდნენ, გამოიწვია თბილისის სემინარიის მოსწავლეთა არა მარტო მოუსწრებლობა და სუსტი განვითარება, არამედ სხვა ბოროტებაც; ეს ბოროტება რელიეფურად გამოჩნდა მაშინ, როცა სემინარიელებმა ერთიანად უარი თქვეს მღვდლებად კურთხევაზე იმ საბაბით, რომ ვითომ მათთვის სხვა სახის სამსახური უფრო სარფიანია. ეს მოვლენა სემინარიის ისტორიაში გაუგონარია. თუმცა წინათ მღვდლების მატერიალური მდგომარეობა, რაკი მათ ჯამაგირი არ ეძლეოდათ, გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ახლა, როცა ისინი გარდა მრევლისგან ჩვეულებრივი შემოსავლისა, უზრუნველყოფილი არიან ხაზინის მხრივ გარკვეული ჯამაგირით. ცხადია, რომ იმ განწყობილებამ და იმ მიმართულებამ, რომელიც დამყარდა თბილისის სემინარიაში ბ-ნ კერსკის რევიზიის დროიდან, მავნე გავლენა იქონია სემინარიელებში იმ საზოგადოებისადმი სიყვარულის აღზრდაზე, რომლის

სამსახურისათვისაც ემზადებიან ისინი, შეასუსტა მათში ზნეობრივი კავშირი ხალხთან, თავისი მაღალი მოწოდების ერთგულება, შეაფერხა მათში კეთილშობილი იდეალიზმის ჩასახვა და განმტკიცება და ყოველივე ამის ნაცვლად განვითარდა ლტოლვა, რომელიც ხასიათდება პრაქტიკული, ჩინოვნიკური მატერიალიზმის სახელწოდებით...

დროა გამოვეთხოვოთ წესებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან უმაღლესად დამტკიცებულ წესდების აზრსა და მიზნებს, არ შეესაბამება უწმინდესი სინოდის საერთო დადგენილებას, რომელიც იძლევა სასწავლებლის მაღალი დანიშნულების დიამეტრალურად საწინააღმდეგო ნაყოფს და დავუბრუნდეთ სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და თანასწორუფლებიანობის სისტემას, ამას მოითხოვს: მთელ ამიერკავკასიაში არსებული ერთადერთი საშუალო-სასულიერო სასწავლებლის კეთილდღეობა, საზოგადოების სიმშვიდე, ჩვენი მხარის სარგებლიანობა და სახელმწიფო ინტერესი.